საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 06 თებერვალი, 2019 წელი

გადაწყვეტილება 05-01/02

სსიპ- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის № 04-01/50 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესში და შინაგანაწესის :

1.1 პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირებისათვის დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებისათვის ხელისშეწყობა;“

1.2 მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსი „$გ^1$“ ქვეპუნქტი:

„$გ^1$) პერსონალისა და სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი იღებს შესაბამის ზომებს. ამ მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საერთაშორისო მობილობის შესახებ პერსონალისა და სტუდენტთა ინფორმირებას ზეპირი, წერილობითი ფორმით და სოციალური ქსელების საშუალებით. მობილობაში ჩართული პერსონალი ვალდებულია წარმოადგინოს ანგარიში საერთაშორისო მობილობის ფარგლებში გაწეული მუშაობის შესახებ შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე.“

1.3 მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტი წარმართავს:“

1.4 მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. უნივერსიტეტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

უნივერსიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, სამოქალაქო კოდექსის, საგადასახადო კოდექსის, შრომის კოდექსის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კანონქვემდებარე აქტების, წინამდებარე შინაგანაწესისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებების საფუძველზე.“

1.5 მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილება.“

1.6 მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;“

1.7 მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დადგენილ ვადაში, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში წარადგინოს სტუდენტის შეფასების უწყისი.“

1.8 მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება ფაკულტეტსა და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში საშტატო ნუსხით გათვალისწინებული საქმიანობისთვის აუცილებელი პირები (სამსახურის უფროსი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მთავარი სპეციალისტი, სპეციალისტი, მდივანი და სხვა).“

1.9 მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შრომითი ურთიერთობის დაწყების მიზნით პირმა უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

გ) მოკლე ბიოგრაფიული ცნობები - C V;

დ) CV-შიმოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები;

ე) უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სხვა აუცილებელი დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ) ფოტოსურათი 3X4.“

1.10 მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უნივერსიტეტის პერსონალს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით - წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით, ხოლო ანაზღაურების გარეშე შვებულებით - წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით.“

1.11 37-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

1.12 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდის წესი, ვადები და პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესით“.

1.13 1 51-ე მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. დაუშვებელია მუსიკალური კლავიშიანი ინსტრუმენტების უნივერსიტეტის შენობიდან გატანა. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობით.“

1.14 56-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) უნივერსიტეტის შენობაში და ტერიტორიაზე უკანონო ქმედებების აღკვეთას;“

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი **თ. მეიშვილი**